**ტექნიკური დავალება (TOR)**
**სათაური:** გარე ეკო-საგანმანათლებლო სივრცის დიზაინისა და მოწყობის სამუშაოების შესრულება

**პროექტი:** დაბა მანგლისსა და ქალაქ ახალციხეში არსებული იდეათეკების ეკო-საგანმანათლებლო რესურსებითა და პროგრამებით აღჭურვა.

**დამკვეთი:** გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაცია **„მწვანე ბორჯომი“**
**დაფინანსება:** კავკასიის ბუნების ფონდი (**CNF**)

**შესრულების ადგილი:** დაბა მანგლისის და ქალაქ ახალციხის იდეათეკების ეზოები ახალციხის N 1 საჯარო სკოლა, მის: ქ. ახალციხე, მიქუტიშვილის ქ. 2 ; დაბა მანგლისის საჯარო ბიბლიოთეკა, მის: თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი, დაბა მანგლისი. იოანე მანგლელის ქუჩა.

**შესრულების ფორმა:** გარე ეკო-საგანმანათლებლო ელემენტების დიზაინი, დამზადება და მონტაჟი

**შესრულების ვადა:** ხელშეკრულების გაფორმებიდან 45 დღე

**1. ზოგადი ინფორმაცია**
პროექტი „დაბა მანგლისსა და ქალაქ ახალციხეში არსებული იდეათეკების ეკო-საგანმანათლებლო რესურსებითა და პროგრამებით აღჭურვა“ ხორციელდება ორგანიზაცია **„მწვანე ბორჯომის“** მიერ კავკასიის ბუნების ფონდის (**CNF**) ფინანსური მხარდაჭერით.
პროექტის მიზანია იდეათეკების ეკო-საგანმანათლებლო რესურსებით გამდიდრება, გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლება და ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდა ინტერაქტიული და ვიზუალური სწავლის საშუალებებით.

**2. დავალების მიზანი**
დავალების მიზანია მანგლისისა და ახალციხის იდეათეკების ეზოებში მოეწყოს ვიზუალურად მიმზიდველი, შემეცნებითი და დასასვენებელი გარე სივრცეები, რომლებიც წაახალისებს გარემოსდაცვით სწავლებას, დაკვირვებასა და ინტერაქციას ბუნებასთან.

**3. ამოცანები**

შემსრულებელმა უნდა უზრუნველყოს:

1. საინფორმაციო და საგანმანათლებლო დაფების დიზაინი, დამზადება და მონტაჟი;
2. დასასვენებელი ელემენტების (სკამები,მცირე ამფითეატრი და სხვა) კონცეფციის შემუშავება, დიზაინი და დამზადება მდგრადი მასალებით;
3. ვიზუალური მასალის მომზადება;
4. სამონტაჟო და ტექნიკური სამუშაოების შესრულება ადგილზე.

**4. გარე სივრცის ელემენტების აღწერა**

**4.1. საინფორმაციო დაფა ხის ფესვები / მანგლისი (ერთი ერთეული)**

- განთავსდება მანგლისის იდეათეკის ეზოში;
- ასახავს ხის მიწისქვეშა ნაწილის ეკოლოგიურ მნიშვნელობას (მიკროორგანიზმების ჰაბიტატი, წყლის ფილტრაცია, ნიადაგის გამაგრება, ფესვების სისტემა და ა.შ.);
- მოიცავს ილუსტრაციებს და მოკლე განმარტებით ტექსტებს ქართულ ენაზე;
- დაფა უნდა იყოს მდგრადი, მყარი და ვიზუალურად მიმზიდველი.
- ზომები და სხვა დეტალური ინფორმაცია და ნიმუშები









**4.2. დასასვენებელი სივრცე ახალციხე / მანგლისი**

- მოიცავს სკამს (ნემსიყლაპიას ფორმის), დაკვირვების სივრცეს ( გამადიდებელი მინა ხის ჩარჩოთი) და ბუნების ხმების სადგურს (თითოეული ორ-ორი ერთეული)
- დიზაინი უნდა იყოს მორგებული არსებული სივრცის ზომასა და სტრუქტურას;

- გამოყენებული უნდა იყოს უსაფრთხო, ეკოლოგიურად სუფთა მასალები.
- ნიმუშები, ზომები და სხვა დეტალური ინფორმაცია













### 4.3. საინფორმაციო დაფა სკამით / ახალციხე / მანგლისი

- **საინფორმაციო დაფა-სკამი 2 ერთეული:** საქართველოს დაცული ტერიტორიების რუკით, სადაც მონიშნული იქნება ერთზე ბორჯომის, ჯავახეთისა და ერუშეთის დაცული ტერიტორიები; ხოლო მეორეზე ალგეთის დაცული ტერიტორიები
- ზომები და დეტალები და დაფის ნიმუში






**4.4. მცირე ამფითეატრი / ახალციხე (ერთი ერთეული):** განკუთვნილი გარე აქტივობებისა და გაკვეთილებისთვის;

- ტევადობა: დაახლოებით 15-20 მოსწავლე;
- მასალა: ხე ან სხვა ბუნებრივი, გამძლე მასალა;
- ფორმა: ნახევარწრიული ან ტერასული, სივრცის ბუნებრივ კონფიგურაციაზე მორგებული.
- ნიმუში, ზომები და სხვა დეტალები








## 4.5. ფრინველების დაფა ახალციხე (ერთი ერთეული)

- საინფორმაციო დაფა, რეგიონში (სამცხე-ჯავახეთში) გავრცელებული ფრინველების შესახებ
- მბრუნავი დეტალებით (ფრინველების ფოტოები წინა მხარეს და მათზე ინფორმაცია მეორე მხარეს)
- დაფების ნიმუში, ზომები და სხვა დეტალები









### 4.6. დაფა ცხოველების ნახტომი / ახალციხე (ერთი ერთეული)

- დაფა ან კედელი რეგიონში გავრცელებული ცხოველებით, მათი ნახტომის სიგრძის მითითებით
- წინ დაგებული რბილი მასალით და შესაბამისი სიგრძეების მონიშვნით
- ინსტალაციის ნიმუში, ზომები და სხვა დეტალები






**5. საბოლოო შედეგი**

შესრულების შედეგად უნდა მივიღოთ:

- ორი მოწყობილი, ესთეტურად და ფუნქციურად გამართული გარე საგანმანათლებლო სივრცე;
- საინფორმაციო დაფები ხარისხიანი ვიზუალური დიზაინით;
- დასასვენებელი და შემეცნებითი ზონები, რომლებიც ხელს შეუწყობს გარემოსდაცვითი განათლების პრაქტიკულ სწავლას.

**6. საკვალიფიკაციო მოთხოვნები**

შემსრულებელს უნდა ჰქონდეს:

- გარე ინტერაქტიული ინსტალაციის დიზაინის ან სივრცითი დაგეგმვის გამოცდილება;
- გრაფიკული და საინფორმაციო დიზაინის უნარები;
- სამუშაო გამოცდილება გარემოსდაცვით, საგანმანათლებლო ან საზოგადოებრივ სივრცეებთან დაკავშირებულ პროექტებში;
- ტექნიკური რესურსი და გუნდი სამუშაოების ხარისხიანად შესასრულებლად.

7. ყველა დიზაინი და გამოყენებული მასალები უნდა შეთანხმდეს დამკვეთთან დამზადებისა და მონტაჟის დაწყებამდე.